

გაზეთის ფასი

გაზეთით თულისში და გარეშე ადგილებში: მაგნიტის ფასი: 7 მან. 6 მან. 50 კ. 3 50 კ. 2 50 კ. 2 50 კ.

ქრონოსი



ხალის-მოწარა მიიღება:

თულისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბეჭედილის სახლში... რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი მანქანადება...

საკოლონიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შინაარსი:

მმართველობის განკარგულება. — შინაგანი ამბები. — უკედლების წამალი. — პოლიტიკა: ისპანია. — ბერმანია. — იტალია. — მსამაღეთი. — შერეობული მტაბები. — ტელეგრაფები. — წიგნი რედაქტორთან. — ლენინის პროცესი. — ლექსი. — სხვა და სხვა ამბები. — სავაჭრო ცნობები.

მმართველობის განკარგულება.

აპკაზიის ნამუსტინის ბრძანება.

1869 წ., 8 სექტემბერს, ბორჯომში. — ხელმწიფე იმპერატორმა ჩემის შუამდგომლობის გამო შოვალა-უმოწყალებსათ ინება, ამ წლის 30 აგვისტოს, ქვემოდასახლურ პირების დაჯილდოება ერთგული სამსახურისათვის, ორდენებით: მთელი არწივის ორდენი მიეცა...

შინაგანი ცნობები.

სენატის კომისიის მიღებული მ. მკვდლიძე იწერება სენატიდან, რომ ამ წლის ივლისის დასასრულს იქ მისულა ჯარით მუთაისის სამხედრო გუბერნატორი ბრ. ლევაშოვი მხარის დასამშვიდებლათ. მაგრამ, როგორც სჩანს მ. მკვდლიძის სიტყვებიდან, იქ მშვიდობიანათ გათავებულა საქმე და არც ჯარი უხმარია გრ. ლევაშოვის; დაუტუსაღებით მხოლოდ რამდენიმე აბრეგები, რომლებიც ხალხის თავდებობის ქვეშ ისევ გაუთავისუფლებიან. ამას გარდა გრ. ლევაშოვის გაუხსნია პირველათ სოფ. ძალს და შემდეგ სხვა სოფლებშიც სოფლის სასამართლოები და დაუდგია მცხოვრებლებისთვის კანონიერი ხარჯი. სოფლის საზოგადოებები გაუხსნია ძალს გარდა შემდეგ სოფლებში: შუკულს, ცერხისს, მულახს, მესტს, ლატალს, ბენოს, მტერს, შარს და თაერარს; გრ. ლევაშოვის დაუდგია ყველა ეს სოფლები, ყველგან შეუყრია ხალხი, აუხსნია მათთვის ახალი წესდებულებები და დაურიგებია მამასახლისებისა და მოსამართლეებისთვის მათი თანამდებობის ნიშნები; ხარკის დადებზე ხალხი, მ. მკვდლიძის სიტყვით, არ საღ არ დარჩენილა უკმაყოფილოთ, ასე რომ საქმე სრულდებით მშვიდობიანათ გათავებულა. — მსვე კორრესპონდენტი გვწერს, რომ აქ ბატონ-ყმობის საქმეც კარგათ მიდისო: დაწესებულებისამებრ, მებატონები დიდის კმაყოფილებით აძლევენ გლეხებს სახლს, სამოსახლო ადგილით — ეზოთი და ოთხ ქვევა სახნავ ადგილსა. — 3-ს აგვისტოს გრ. ლევაშოვი წამოსულა თავის ჯარით სენატიდან.

როგორც შევხვდებით სარწმუნოთ მართლში ამ ჟამათ ხორბალი ფასობს კოდი ოთხ მანეთათ, ქერი სამათ. მართლის კოდი ქალაქის ოთხ ფუთს უდრის, მაშასადამე მართლში ადგილობრივათ ისე იყიდება პური, როგორც ქალაქში; აქ ახლა ფასობს შუათანა ფქვილი ფუთი ხუთ — ექვს აბახათა. ჩვენ შევხვდებით რომ მართლიდგან გლეხები ბევრნი წასულან მრეწვისა და ბუმბრისკენ (ალექსანდროპოლისკენ) პურის სასყიდლოთა, რადგანაც ეს ადგილები გათქმულნი არიან პურის მოყვანითა. ქალაქში ეს ამბავი ეჯავრებათ, რადგანაც უეჭველათ პურის ფასი აიწევს; ყველამ იცის რომ ქალაქში პური მრეწვიდგან და ბუმბრიდგან მოდის. მაგრამ ჩვენ ძალიან გვაგზავრება და დროთივე თადარიკის დაჭერა. ძალიან კარგი იქნება, რომ პურის სასყიდ-

ლათ სოფლით სოფელმა ერთათ კაცები დარჩირას და ისე აყიდინონ საერთოს მტრის სოფლისათვის; ვისაც ყიდვა უნდა ამ გვართ უფრო გაუადვილებათ მგზავრობაც და ერთიანათ ყიდვაშიაც უფრო ნაკლებ ფასათ იყიდინან.

ქაქასიის ნამუსტინისაგან მუთაისის სამხედრო გუბერნატორს გრ. ლევაშოვის მიეცა ინება შირიმში 28 დღის ვადით წასვლისა. მის მაგიერათ გუბერნიის მმართველ მინდობილი აქვს დვისტე. სტ. სოფ. იურჩენკოს.

(Сб. Правительствен. распор. по Кут. Губ.)

ლირეკცია თბილისის სამკურნალოთა, რომელიც დაწესებულია ქ. თბილისის მოქალაქეებისაგან 4 აპრილის სახსოვრათ, საერთო აცხადებს, რომ დოქტორი მლოვაცკი ორშაბათობით 12 საათიდან 1-მდე უტრის ახალი მეთოდით ყვავილს კმაწვილებს ამ სამკურნალოს სადგომში, სოლოლაკში ბაღების ქუჩაზე.

მოგეყვას რამდენიმე საინტერესო ცნობები უ. ლ. ისარლოვის „ახალციხის უფლებში მოგზაურობის შენიშვნებიდან“, რომელიც არის დაბეჭდილი გავ. „ქაქაზში“: ახლანდელი ახალციხის უფლები, რომელიც დაიპყრო რუსეთმა 1828 და 1829 წ. წინათ იყო ახალციხის საფაშოს ნაწილი და ეკუთვნოდა მსმალეთს. მსმალეებზე წინათ კი ეს მხარე — მურიდან დაწყებული ტრაბიზონამდე, არზრუშამდე და შარსამდე, ძველი საქართველოს მეფეების ხელში იყო და ეწოდებოდა სახელად მესხეთი, ანუ სამცხე და შემდეგ საათაბაგო. საქართველოს მფლობელობის დროს აქ იყვნენ დაყენებულნი მეფეებისაგანაც ცალკე მმართველები — ათაბაგები, რომლებიც საქართველოს მეფეების სისულტის გამო, განთავისუფლდნენ იმათ დამოკიდებულებისაგან; მაგრამ, რადგან გაცალკეებულნი არც თითონ დარჩნენ ძლიერნი და რადგან ამასთან შინაური ურთიერთობის უთანხმოებაც ასუსტებდა იმათ, ამის გამო მსმალეთმა ცოტა-ცოტათი დაიმორჩილა საათაბაგო. უკანასკნელი ათაბაგი ჩვენი მეფისა საათაბაგოში იყო მანუჩარი და იმის დროს სრულდებით დაუპყრიათ ოსმალებს ეს მხარე; ამ დროს მთელი საათაბაგოს მცხოვრები ყოფილან მართლ-მადიდებელნი ქრისტიანნი. მსმალეებს გაუშაპა დინებით ისინი, მაგრამ, როგორც უ. ისარლოვი ამბობს უმეტესს ნაწილს სოფლებში დღემდე არის დაცული ქართული ენა, ჩვეულებები და შინაური მოწყობილობა.

უ. ისარლოვის მოკვას მაგალითათ რამდენიმე სოფელი, როგორც ახალციხის უფლები, აგრეთვე მსმალის ნაწილის საათაბაგოსა, რომლის მცხოვრებნი, თუმც მამადიანები არიან, მაგრამ თავის ძველი-ქართული ენა, ჩვეულებები და თითქმის სარწმუნოების წესებიც იმათ დღემდე არ დავიწყებიათ: სოფ. სვირში 30 მოსახლე კაცია, და ყველამ კარგათ იცის ქართული ენა; აშალდება დღეს ისინი მიდიან ჩვენს საყდარში და, ქართული ჩვეულებისა მებრ, ჰკლავენ სამღვთოთ ცხენარს და სანთლებს უნთებენ ხატებს ამ ძველს სა-

ყდარში. ამ სოფელს გარდა ძირის, საკუნეთის; სხვათა, მარძიის და სხ. ბევრი სოფლების მცხოვრებლებში დარჩენილია ბევრი ნიშნები ქრისტიანობისა და ქართველობის; სოფ. ს-ფარში ახლაც აჩვენებენ ძველი ათაბაგების სასაფლაოებს; მარძიის მონასტერი, რომელიც მარანცოვისაგან არის შეკეთებული, ახლაც გათქმულია მთელს საქართველოში; ამტკიცებენ, რომ მამარ ღვთაფლის საფლავი ამ მონასტერში არისო; ყოველ წელიწადს 15 აგვისტოს მოიყრის აქ ხალხი თავს, მთელი ახალციხის უფლებიდან და მსმალეთის საათაბაგოდან, ქრისტიანნი და მამადიანნი და ისე ერთათ დღესასწაულობენ ღვთის-მშობლობას.

სექტემბრის 11-ს გავ. „ქაქაზს“ მოუვიდა პეტერბურლიდან ტელეგრაფმა, რომ ქაქაზი-აზე რკინის გზების გაკეთება მმართველობას მიუზღვია პოლიაკოვისთვის.

უპკაპის წამალი.

ჩვენში, ესე იგი მართლში — საკვირვალად ემდურებიან წლიწადელს მოსავალს და ციებ-ცხელებას; აქაური მცხოვრებნი, ვისაც ჰკითხაეთ, ყველა გეტყვისო, რომ შარშანდელწელ წლეულს ძალიან ნაკლებათ მომივიდა კირნახულიო; ამის გამო პური და ქერი გაძვირდა მართლში. საშინელმა გვალვამ და სიციხებმა წაახდინა ნამუშევარი და გააჩინა ზემო თქმული სნეულება; ზოგნი ჩივიან „ამ ციებ-ცხელებით ჩვენ სოფელში ბევრია ავთ, არა გვეწველარო, ერთი მორჩება-მეორე გახდება ავთათო; მაგრამ, მადლობა დმერთსა, სიკვდილით კი ზარალი არა გვაქვს რა; ვინც წამალს მალე დაუწყებს სმას, მალეც მორჩება“.

სოფლებში გავშირებულ ციებ-ცხელებას იტყვის ხშირათ აქაური აფთეკარი უფ. შეჭი, რომელსაც აქვს ბორში საკუთარი აფთეკა, საიდანაც დღე და ღამ ეზიდებიან წამლებს სოფლებში და ქალაქს ბორში. მე არ შემიძლიან არ გამოვსთქვა წრფელის გულით, თუ როგორ არიან ყველანი კმაყოფილნი და როგორ ემადრიებებიან უფ. შეჭის და იმის შეწვევულ წამლებს; ეს დიდი ნუგეზია აქაური მცხოვრებლებისათვის.

ზოგიერთი მებატონებიცა ცდილობენ შეძლებისაგებ ავთმყოფების შემწვობას; „ვინც უნდა იყოს, — ახლა სხვა დროა“, და მით ამტკიცებენ თავიანთ კაცთ მოყვარობას. მე მიაბებს, რომ ერთმა მებატონემ მოარჩინა თავის სოფელში რამდენიმე ავთმყოფი გლეხი ციებ-ცხელებისაგან, თავის მოგონილი წამლით; ამ მოკლე ხანში შეეხვედი მე აქ ამ მებატონეს და გამოგიტყვი: — ენაზო, თქვენ გეტყვენ ახალ ექიმბაშობას, მართალია, თუ არა?

„სწორეთ მართალია, თქვენმა მხემ, მიახუბა იმან ღიმილით; აი როგორ: რადგანაც მე თბილისზე და ბორზე მომორბითა ეცხოვრობ, ამის გამო ჩემის საქართველოსათვის სხვა და სხვა სასმელი წამლები და პარაშოკები ყოველთვისა მაქვს შინა; ეს ყველამ იცის ჩემს სოფელში; წლეულს სახლი არ დარჩა, რომ ერთი ორი და სამი ავთ არ გამხდარ-

იყოს ციებ-ცხელებით. ასე გახშირდა ეს სნე-  
ულობა ჩვენშია; მოდიოდნენ ავთომყოფის  
პატრონები და მთხოვდნენ, „თქვენ სადღე-  
რძელოთ, ცოტა წამალს ნუ დაგვიტყობთ“;  
მეც ვაძლევდი, სანამ მკონდა, სასაქმებელ  
ზეთსა და ცოტ-ცოტა ქინაქინის პარაშოკებს  
და მალე რჩებოდნენ. მრთხელ მოვიდა ერ-  
თი ხნიერი კაცი კანკალით და მთხოვა: „ღმერ-  
თი დიდხანს გაცოცხლებს, ბატონო, ამ ციე-  
ბამ ლამის მოკლას, მეც მომარჩინეთ, ცო-  
ტა თქვენი წამალი დამალეინეთ.“ — მე შეე-  
წუხდი, რომ ზეთიც გამომელია და ქინაქინის  
პარაშოკებიც; რა ექნა? რითი ეცე ამ საწყალს  
მოხუცებულს ნუგეში? რა უნდა დაელოდებინა,  
რომ დაეამწვიდო მინც ცოტათი? ამ ფიქრ-  
ში მომავლდა სოდის შუშუნა პარაშოკი,  
რომლითაც სიცხეში წყალს ესვამ ხოლმე  
სიამოვნებით; მაშინვე უთხარ იმ კაცს: — აი  
ძმარ, ის წამლები კი აღარა მაქვს, სულ გა-  
მომელია, მაგრამ ერთი წამალი მაქვს; იმას  
ჩავეყრი ციე წყალში; თუ აღუღდა და წყალ-  
მა შიშინი დაიწყო, იცოდე, რომ სასიკვდი-  
ლოც იყო, მალე მოარჩები და თუ არ აღუღდა,  
მე ვეღარას გიშველი, ღმერთს შევედრე.

„ამ სიტყვებმა დააფიქრა ეს საწყალი კა-  
ცი; შეეცაყე, რომ ძალიან შეწუხდა და ფიქ-  
რობდა: ჩემი მორჩენის იმედი კიდევ მაქვს  
დღითი, მაგრამ ამისი წამალი რომ არ აღუღ-  
დეს, ხომ აქვე ამოხდება სული შიშისაგან.  
რაზე ვაფიქროვ საქმე და ჩემ სიკვდილს ჩე-  
მის თვალებით უყურო?“

„რას დაფიქრდი, ჩემო ღათუა, დაუძახე?  
ღმერთი მოწყალეა, ნუ გეშინიან, შენ სამა-  
გისო არა გიჭირსრა; გული გაიმაგრე! ღა-  
თუა განციფრებული ხმას ვეღარ იღებდა;  
მე ჩაეახსი სტაქანში ციეი წყალი და მოვაშ-  
ხადე შუშუნა პარაშოკი ჩასაყრელად; ღა-  
თუა შიშით იღვა, ჯოხზედ დაბჯენილი, რო-  
გორც გაქვავებული და შემომსტყროდა სასა-  
ცილოთ. სიცილისაგან ძლიეს შევიმაგრე თა-  
ვი, ეიცოდი პარაშოკის თვისება — რომ წყალ-  
ში შუშუნას დაიწყებდა. დაიწყო პირჯვარი  
და ეთქვი: — ღმერთო, ყოვლისა შემძლებელო,  
სნეულთა მკურნელო, შეწუხებულთა ნუგე-  
შის მცემელო! შენ უღბინე ჩემ ღათუას და  
ეს წამალი აღუღდეს ამ ციე წყალში. — პარა-  
შოკმა დაიწყო ჩვეულებრივი შიშინი, ღა-  
თუას მხიარულების სიწითლე გარდაეფარა სა-  
ხეზე, მივარდა სტაქანს და ძალიან გაუკვირ-  
და, რომ სტაქანი ციეთ მოხვდა ხელში; ერ-  
თი კი შემომდრიჭა და გადაჭრა დაუსვენებ-  
ლიე საესე სტაქანი. მე ამიტყდა სიცილი;  
იმას ციება სრულებით დაეწყო და დამიწ-  
ყო მუხლებზე ხვეწა, კოცნა; ვენაცვალე  
შენ გამჩენსა, ჩემო ბატონო, თუ თქვენ მშვი-  
დობით მყევხართ, სიკვდილს როგორ შეეე-  
პუებო; თქვენი რისხვა არა მაქვს, ამ მა-  
ღალ ღმერთსა ვფიცავ, მართალია ბატონ-ყო-  
ბა გადავარდა, მაგრამ ახლა კი უფრო დი-  
დი სიყვარული ჩამოვარდა ჩვენსა და თქვენ-  
შიაო“ და სხ. და სხ.

„მე ვიცინოდი; ის კი დარწმუნებული წა-  
ვიდა მხიარულად და ვისაც შეხვდა, ყველას  
ეტყოდა: ბატონს ისეთი უკედლების წამალი  
აქვს, რომ, თუ ციეს წყალში აღუღდა და და-  
აღვიენა ავთომყოფს, სიკვდილს პირიდან გა-  
მოვლევსო.“

„ჩემი წამლები გამომელია და ახლა ჩამო-  
ველ ზორში — შეჭი ვნახო და იმის აფთიქ-  
ში ვიყიდა რაც საჭიროა ჩემთვის; ღმერთმა  
დაუმაღლოს ამ კაცს, რომ ზორში აფთიქი  
გახსნა და ქალაქში კაცს აღარა ეგზავნით წა-  
მღებისათვის; უწინ გავზავნილი კაცი ზოგ-  
ჯერ ავთომყოფს ცოცხალს ვეღარაკი მოუს-  
წრობდა, ახლა კი რაც ვინდა, ყველას იშოვ-  
ნით, რა დროც უნდა იყოს, აქაურს აფთიქ-  
ში, ახლოს და მარჯვით; ეს ძალიან სასარ-  
გებლოა ხალხისათვის, თქვენმა მშემ.“

ჩვენ გაეთავით ჩვენი საუბარი სიცილით

და გამოვეთხოვენიდ ერთმანეთს, საღამოს  
ბინდზე წარსულს კვირას. —  
ღმერთი მელენივთხუცესოვი.  
24 აგვისტოს 1869-ს წელსა.  
მ. ზორი.

### პოლიტიკა.

#### ისპანია.

მადრიდი 7 სექტემბერს. დღეს  
მოხდა აქ დიდი არეულობა. „თავისუფლების  
ვოლონტერებს“ ეწყინათ ის, რომ სამინისტ-  
როს სახლის ყარ. ულობა ჩამოართვეს და სხვა  
საწლათებს ჩააბარეს; იმ წამსვე ორასმა და-  
იარაღებულმა ვოლონტერებმა მოიყარა თავი,  
შეჭადნენ სამინისტროს სადგომში და ძლით  
დაიჭირეს საყარულო ადგილები. ნაშუადღე-  
ვის ერთს საათზე მინისტრები შეიყარნენ და  
გარდასწყვიტეს გენერალი რივეროს გავზანა  
ჯარით ვოლონტერების დასამშვიდებლათ. ვო-  
ლონტერები დიდხანს უარზე იდგენ, არ უნ-  
დოდათ თავის ადგილი დაეთმოთ. მაგრამ მე-  
ორე დღეს დილით გამოუგზავნეს რივეროს  
კაცი, რომ მიედევროთ და საყარულო ად-  
გილებს ირეგულარულ პოლიკის ვოლონტე-  
რებს უთმობთო. — ამ არეულობის დროს ოთ-  
ხი ვოლონტერი დაიჭრა. —

მადრიდი 3 სექტემბერს. ღენერა-  
ლი პრიმიდან, რომელიც ახლა პარიჟშია, მო-  
ვიდა სამხედრო სამინისტროში შემდგომი ტე-  
ლეგრაფიამ: „პოველი ღონის ძიება იხმარეთ,  
რომ დაიცოთ ისპანიის სახელი და დამშვი-  
დოთ ტუბაზე არეულობა. რაც შეიძლება ბე-  
რი ჯარი გამოაწვიეთ ამ საქმისთვის“. (ტუნ-  
ძული ტუბა (ამერიკაში) ისპანიას ეკუთვნის;  
იქ ახლა არეულობაა და სურთ ისპანიის და-  
მოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ). — 12  
სექტემბერს ტუბის დასამშვიდებლათ აგზავნი-  
ან 8,000 ჯარს. — ძალიან მოხდა არეულო-  
ბა; ერთი პოლიციის სალდათი დაჭრეს ამ  
დროს. იქაური გუბერნატორი ჯარით აპი-  
რებს ამ არეულობის დამშვიდებას. —

— შთანხმობდა ამერიკის შეერთებულს  
შტატებსა და ისპანიის შუა ტუბის თაობაზე  
დაწყნარდა.

#### გერმანია.

ბერლინი 10 სექტემბერს. მ. შრანკ-  
ფურტის მუნიციპალის რჩევამ სთხოვა პრუს-  
სიის მმართველობას გაუქმოს ის განკარგუ-  
ლება, რომლითაც ყოველი პრუსსიის ქვეშე-  
ვროდში, რომელიც სხვა სახელმწიფოს მო-  
ქალაქეთ არის ჩაწერილი, უნდა გაიგდოს გე-  
რმანიიდან. მმართველობამ უარი უთხრა  
შრანკფურტის რჩევას ამ თხოვნაზე იმ სა-  
ფუძვლით, რომ პრუსსიის ქვეშევრდომები  
იმითომ იწერებინან სხვა სახელმწიფოების მო-  
ქალაქებეთ, რომ სალდათათ არ გაიყვანონ  
ისინიო. —

ბერლინი 2 სექტემბერს. დღეს  
დღესასწაულობდნენ აქ ზუმბოლდტის ასი წლის  
იუბილეს. პუარბელი ხალხის თანდასწრე-  
ბით, აკურთხეს ის სახლი, საცა ეს გამოჩენი-  
ლი სწავლული დაიბადა და ჩაყარეს საძირ-  
კველი იმის ძეგლისა. —

#### ამერიკის შეერთებული შტატები.

ნიუ-იორკი 14 აგვისტოს. შრანკ-  
ფურტის „მ. ფიცალიურ ჟურნალში“ სწერენ:  
„ღიდი ხანი არ არის გაათავეს ამერიკაში  
ყველა რკინის გზებზე უგრძელესი წყნარი  
ოკეანის რკინის გზა, რომელიც აერთებს ატ-  
ლანტის და წყნარ ოკეანებს და ჰყოფს შუა-  
ში მთელს ჩრდილოეთის ამერიკას. ამ რკინის  
გზას 3,000 ვერსი სიგრძე აქვს და თავის მდებ-  
რებით, უქვევლია, დიდი მნიშვნელობა  
ქვება იმ უდაბური ადგილების დასახლები-  
სა და გაკეთებისათვის, რომელზედაც ის გა-  
დის. მზის იქით და აქეთ თითქმის სულ უდა-

ბური ადგილებია; ალაგ-ალაგ მხოლოდ პა-  
ტარ-პატარა ქალაქები მოინახებიან; თუ ამ  
თავი გზიდან შტოები გაიყვანეს, უქვევლია,  
ეს დიდს სარგებლობას მოიტანს, რადგან მი-  
სელა-მოსელის შეძლება იქნება და ხალხი  
დიდის სიამოვნებით დაესახლება ამ უდაბურს  
ადგილებზე და ეპრობაც გაიმართება.“ —

ნიუ-იორკი 4 სექტემბერს. ზუმინა-  
წინ დაიჭირეს აქ ხომალდი, რომელშიაც ის-  
ხდა 900 ვოლონტერი და ემზადებოდა ტუ-  
ბაზე წასვლას და იქაური მოჯანყების მოხ-  
მარებას. —

#### ოსმალეთი.

კონსტანტინოპოლი, სექტემ-  
ბრის 7-ს. ოსმალის მმართველობამ გამოა-  
ცხადა წესდებები პასპორტების შესახებ იმ  
გარეშე ქვეყნებისათვის, ვინც ოსმალეთში  
სცხოვრებს. ამ წესდებების ძალით ყველა  
უცხო ქვეყნის მომსვლელმა ოსმალეთში უნ-  
და წარუდგინოს საკონსულოს თავისი პასპო-  
რტი; ვინც ამას არ იქს, იმას შტრაფი ერთ-  
მეფა. მარდა ამ შტრაფისა, ვისაც პასპორტი  
არა აქვს, უნდა მისცეს გირაო, რომ მე-  
რე შეეძლოს იმპერაში ცხოვრება. თუ კონ-  
სულები თავდებათ დაუდგებიან, მაშინ გი-  
რაო აღარ არის საჭირო. თუ არც თავდე-  
ბობა და არც გირაო არ წარუდგინეს, მაშინ  
შეუძლიანთ გაადგონ ოსმალეთიდან, თუ ეს  
საჭირო იქნება საზოგადო სიმშვიდისათვის.  
პასპორტებს ერთი წელიწადი აქვთ ძალა. მს-  
წესები შეეღწენ ძალაში გამოცხადების შემ-  
დგე სამი თვე რო გაივლის. —

პარიჟის გაზეთი „Presse“ ამბობს, რომ  
ის „ჩერქეზები, რომლებიც ოსმალეთის მმა-  
რთებლობამ შეიფარა, ახლა ძალიან თულო-  
ბენ და ხშირად სტარტენ სოფლებსაო. ამ თუ-  
ლების შიკა ოთხასი ცხენოსანი კაციდან  
არის შემდგარიო. სჩანს, იმათი უფროსები  
მაგდენათ არა სჯიან იმათ, თორემ საცა სჯი-  
ან, იქ ძალიან მშვიდათ არიან.“

#### იტალია.

პრის ნემეცურ გაზეთში სწერენ, რომ  
იტალიისა და რომის მმართველობებს შუა-  
თანხმობა ჯერაც არ დამკვიდრებულა; ამ  
უკანასკნელს დროში პაპის მმართველობამ  
არ მისცა ნება პიქტორ-მანუელს და იმის  
სახლობას ცხადათ გადასულიყვნენ იმის მიწა-  
ზე და წასულიყვნენ ნეაპოლში. „ღე ინკო-  
გნიტოთ (სხვისი სახელით) გაიარაო“ მისცა  
პასუხი რომის პაპმა. როგორც სჩანს, პაპს  
ეშინია, რომ იტალიის კოროლის რომის მი-  
წაზე გივლის დროს, არეულობა არა მოხდეს  
რა.

### ტელეგრაფები

(თფილისში მიღებული)

პეტერბურლი, 13 სექტემბერს. ხელმწიფე  
იმპერატორის მეუღლის ავთომყოფობა არ შე-  
მცირდა; ამ ზამთრობით, როგორც ჰგონებენ,  
მოუხდება სამხლვარს გარეთ წაბანება.

პარიჟი, 13 სექტემბერს. შრანკიამ გამო-  
უცხადა პრუსსიასა და ბადენს, რომ ბადენის  
შეერთება გერმანიასთან ასტებს ომიანობას;  
ამისაგამო პარიჟის ბირჟა შეშფოთებულია.

„პეტერბურლის უწყებების“ კორრესპონ-  
დენტი იწერება, სხვათა შორის, მადრიდიდან,  
რომ კლუბებს (სასტუმროებს) დიდი გავლენა  
ჰქონდაო ხალხზე უკანასკნელი ისპანიის მო-  
ძრაობის დროს; ამ კლუბებში იყრიან თავს  
ყველა, ვისაც ჰსურსთ ახალი ამბების შეტყო-  
ბა, საზოგადო საქმეებზე მოლაპარაკება და  
ხალხის მიზიდვა თავის აზრებისაკენ. ამისთა-  
ნა კლუბები ძალიან ბევრია თურმე მადრიდ-  
ში და საღამო-საღამოობით ყოველ გვარი ხალ-  
ხი იქ იყრის თავს და დიდის კმაყოფილებით  
უგდებს ყურს რომელსამე ახალგაზდა ორა-

ტორს, რომელიც კლუბის ტრანსპორტის  
ვისუფლოთ ლაპარაკობს ისპანიის შინაგანს და  
პოლიტიკურს საქმეებზე. — მანსაკუთრებით შე-  
სანიშნავია, კორრესპონდენტის სიტყვით, მა-  
დრიდში ერთი კლუბი, რომელსაც ჰქვია სა-  
ხელით „ანტონ მარტინი“. აქ მოდიან სა-  
ღამოობით მუშაობის შემდეგ სხვა და სხვა  
ხელოსნები, ჩინოვნიკები, მწერლები და ექი-  
მები თავიანთ ცოლშვილით, და ვისაც რო-  
კორ ჰსურს, ისე ატარებს დროს: ერთი შოკო-  
ლადსა სვამს, მეორე ორშადს, მესამე მისჯლო-  
მია სტოლს და თავის მეგობარს ემუსაიფება  
სხვა და სხვა საგნებზე; მეოთხე ცალკე ზა-  
ღამოა და ყურს უგდებს ორატორებს, რომ-  
ლებიც ხანდისხან ბევრ სისულელეს ყბეღა-  
ბენ და ხან კი იმისთანა საგნებზე ჩამოაგდებ-  
ნენ ლაპარაკს, რომელიც ყველას შეეხება და  
ყველასთვის საინტერესოა. — ამ ორატორებ-  
ში ერთი ძლიერ გამოჩენილი ყმაწვილი კა-  
ცი არის; ეს არის ერთი ახალგაზდა კატალო-  
ნელი გლეხი, სახელია რუბაო, რომელსაც  
თავის პოლიტიკური მოქმედების და აზრების  
გამოხიობით, თავს ბევრი გარდახედა „უწინდე-  
ლი დედოფლის ისპანელის დროს. ამის მოქ-  
მედება გასაკვირველია: მთელი კატალონია  
დაუფლია იმას ქვეითთ და ყველგან უქადა-  
გებდა ხალხს; ამას თითქმის მთელს ისპანიაში  
ჰყავს ნაცნობები და თანამოაზრნი; ის ჰმარ-  
თავს მუშების რამდონიმე ასოციაციებს,  
სწერს, ამბობს სიტყვებს კლუბებში, საზოგა-  
დოებაებს არდგენს და სხვა. ყველაზე უფრო  
რუბაო სცილობს გლეხების და მუშების სო-  
ციალური მდგომარეობის გაუმჯობესობისა-  
თვის. ამისთან არც ერთმა ახალგაზდა კაცმა  
არ იცის ისე კარგათ ისპანიის უბრალო ხალ-  
ხის მდგომარეობა და იმის საჭიროება და არა-  
ვის სიტყვებს არ უჯერებს ეს ხალხი ისე, რო-  
გორც რუბაოს. —

საზოგადოთ ისპანიის ახლოაზრობა, კორ-  
რესპონდენტის სიტყვით, კარგათ არის მიმარ-  
თული; თუმცა მეცნიერების სწავლას ისინი მა-  
გდენათ არ ეტანებიან, მაგრამ მის მაგიერ სა-  
ზოგადო განათლება ძალიან კარგა აქეთ და  
ყველაზე უფრო თავის მამულის კეთილდღე-  
ობისთვის და წარმატებისათვის სცილობენ;  
მათი სურვილი და წადილი მუდამ იმაზეა მი-  
დრეკილი, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებ-  
ლობა მოუტანონ უბრალო ხალხს.

სასიამოვნო გასაგონია, რომ სა-  
ზოგადო საქმეებში ქალებიც იღებენ არა მცი-  
რედს მონაწილეობას; რასაკვირველია, ამ-  
ბობს კორრესპონდენტი, სწავლული ქალები  
ისპანიაში ძალიან იშვიათია, რადგან აქამ-  
დინ იმათი განათლება მარტო ფორტებიანოს  
დაკრაში, ცეკვაში და ფრანკუზული ენის  
ცოდნაში მდგომარეობდა. მაგრამ შემდეგში  
ამ ნაირი ქალების სწავლის მიმართულება,  
უქვევლია, გარემოებებისა თანავე, გამოიცე-  
ლებდა. ისპანიაში ორი გარემოება ეხმარება  
ქალის გონიერულ გზავნად დაყენებას: ერთი  
ის, რომ მთელი ნახევარი საუკუნის განმავ-  
ლობაში იქ მუდამ ომიანობა და პოლიტიკუ-  
რი უთანხმოება სუფევს; ქალები იძულებულ-  
ნი არიან უნებლიეთ გაერთიანდნენ ამ პოლიტი-  
კური პარტიების ბრძოლაში, რომელიც ძა-  
ლიან ძვირათ უღირთ იმათ. მრთს ქმარი მო-  
უტკლეს, მეორეს ძმა დაუკარგეს, მესამეს და-  
უხვრიტეს მამა და სხ. მჯახებში ქალებს  
ხშირათ აქეთ გაცხარებული ბაასი პოლიტი-  
კურ საქმეებზე. — მეორე გარემოება, რომელიც  
ეხმარება ქალის გონიერულ გზავნად დაყენე-  
ბას, არის იმათი დამოუკიდებლობა ოჯახში.  
მართალია გასათხოვარ ქალებს ისპანიაში  
დღემამა უფრო ადევნებს თვალყურს, მაგრამ,  
მის მაგიერ, იმას თავისუფლოთ შეუძლია სა-  
ქმროს ამორჩევა, ასე რომ ძალიათ გათხოვე-  
ბა დღემამისაგან აქ შეუძლებელი საქმეა, ნა-  
მეტურ ახლა, როცა სამოქალაქო კორწინე-  
ბა შემოიღეს. მასათხოვარ ქალს ყოველთვის  
შეუძლია მარტო იყოს და ემუსაიფოს თავის

ამორჩეულს ყმაწვილს კაცს და დედამა იმას  
ვერაფერს ვერ ეტყვის; ამ ნაირათ ხშირათ  
ყმაწვილი კაცი და ქალი ოთხი წლის განმავ-  
ლობაში იცნობენ და უყვართ ერთმანეთი და  
შემდეგ დაქორწინდებიან. ხანდისხან მოხდება,  
რომ გასათხოვრება ქალმა ქმრის შერთვამ-  
დინ სამი ოთხი საქმრო გამოიცვალოს, მაგრამ  
ამისთვის იმას არაფერ არ ძრახვის ისე, რო-  
გორც ამერიკაში. ახალგაზდა კაცებიც, უმე-  
ტეს ნაწილათ, იმდენათ პატიოსნები და გო-  
ნიერები არიან, რომ თავის ამორჩეულზე შე-  
რთვამდი არც ერთი ცუდი აზრი არ მოუვათ  
თავში.

**უფალს რედაქტორს!**  
(დასასრული).

„შემდეგ ჩვენის ლაპარაკის გაიდა რამდენ-  
იმე თვე... მე ბევრს ვფიქრობდი ამ საქ-  
მეზე და ყოველდღე უფრო-და-უფრო ვრწმუნ-  
დებოდი, რომ ჩემი ცოლის გრძობანი ქე-  
შმარიტნი იყვნენ. მართლათაც, სადაც კი გრ-  
ძობას ვეხებო, იქ ქალი კაცზედ უმეტესად  
აღმოაჩენს მხვილ-გონიერებას, გულის-ხმიე-  
რობას და ძალას საგნის კანონიერათ განსჯი-  
სათვის.

„არც ერთს კაცის აღზრდის შესახებ სა-  
განს არ დაუბანია აგრე მრავალი და ერთი  
ერთმანეთის უთანხმო ჰაზრები, როგორათაც  
იმას, რომელიც შეეხება ყმაწვილის ცემით  
დასჯას.

„მართნი ამბობენ:—ყმაწვილებს აღარსად სცე-  
მენო.

„მეორენი გვეუბნებიან:— ზომიერად წყე-  
პლით გალახვა ყმაწვილისა სასარგებლოაო.

„არც ერთნი მართლნი არ არიან.

„ვერ მართო მუშა კაცთ მიხედვით. რამ-  
დენჯერ მოხდება, რომ ეს საწყლები თავიანთ  
სიბრძნით და უმეტრებით იქამდინა სცემენ  
შვილებსა, რომ ხდებიან ხოლმე იმთ მკვლე-  
ლათა!... მერე შევიდეთ ჩვენს სასწავლებლე-  
ბში; აქაც კი ანაირათვე მიღებულია ცემა. რა  
მდენჯერ თხლამა მოხდებოდა ხოლმე საცო-  
დავ ყმაწვილებსა სიცელქისათვის, თამაშობი-  
სათვის და ნებინგობისათვის (თუცა კი ნები-  
ერობას თითონ დედამანი აჩვენენ იმათა).  
რა ცუდ—უბრალოთ ილახებიან საწყლები!  
მსთქვით მამა სადილოთ შინ მოვიდა და რა-  
ღაზნად გაჯავრებულია, მაგალითათ ან მოვა-  
ლეს ფული არ მიუცია და ან სხვა უსაამო-  
ნება რამ; სულ საწყალი ყმაწვილი ხდილობს  
ამას: თუ ამ დროს უმარჯოთ მოუვიდა იმას  
რამე, ან გატეხა რამ, ან დედას რიგინათ  
პასუხი არ მისცა, მამა მაშინათვე წამოვარდე-  
ბა და შემოპკრავს იმასა. თითქო ამისი ბრა-  
ლი იყოს, რომ მამას იმ დღეს რომელიმე სა-  
ქმე კარგათ ვერ მოსვლია!

„ანუ, ესთქვით, დედა თავის შვილს მუში-  
კას ასწავლის, რომელიც საშინლად არყვეს  
მგრძობდელ ძარღვებსა. თუ ამ დროს ყმა-  
წვილს გონება სხვაგანა აქვს და ან თუ დედა  
გაჯავრებულია რაზნდმე, მაგალითად, ან მკე-  
რვალმა თავის დროზე კაბა არ მოუტანა, ანუ  
იმას გამოუგზავნია დანასარჯის ანგარიში,  
რომელიც ქმარს არ მოეწონება, მაშინ ვაი  
ყმაწვილის ბრალი! თუ ერთი ცოტაც შეეს-  
და რამე, უთუოთ ხელის თითებზე მოხდებოდა  
იმას! მე ვიცნობდი ბევრს დედებს, რომე-  
ლნიც სხვის შვილებს დიდი მოთმენითა ზრდი-  
დნენ და თავიანთ შვილებს კი სიზარმაცო-  
ბისათვის და ან იმიტომ რომ მსწრაფლ ვერ  
ასწობდნენ რომელიმე საგანსა, სცემდნენ  
არამც თუ მართო ხელითა—ჯოხითაც.

„რაც შეეხება ზომიერ ცემით დასჯას, უნდა  
ესთქვით, რომ ცემის დროს ზომიერების მო-  
ხმარება ძნელია. ჩვენ ვიცით წყარო, საიღვა-  
ნაც მომდინარეობს ცემის მიზეზი; ეს წყარო  
არის კაცის გაშფოთება, რომელშიაც ზომიერე-

ბის დაცვა აღარ შეიძლება და აქედან წარ-  
მოსდგება ბევრი უბედურებანი, რომელთაც  
აღარა მოველებარა. ღედ-მამანი გემეტყვი-  
ვენ, რომ შვილებს ლახვენ იმიტომ რომ  
უყვართ ისინი და სიკეთე ჰსურთ იმათთვის;  
ამასთანავე ჰფიქრობენ, რომ წრეს გარეთ არ  
გაღიან და ზომიერების დაცვაც შეუძლიანთ;  
მაგრამ იფიქრებენ, რომ, თუ ზომიერების მო-  
ხმარებაზე და სიშფოთის შეკავებაზე მივარდე-  
ბა, უცხო პირთ უფრო შეუძლიანთ ესენი,  
ვიდრე დედ-მამასა. მართის სიტყვით, რაც უნ-  
და მსუბუქს და ზომიერს ცემას იხმარებდნენ  
მანაც შეცდობაა ესა, იმიტომ რომ მცემელი  
ყოველს პატივსა და სიყვარულს ჰკარგავს ყმა-  
წვილის მხრივ...

„დასასრულ, ახლანდელს დროს აღარ შეკ-  
ფრის ცემის მოხმარება. ცემა დარჩენილია  
გაუნათლებელი წარსული საუკუნეებიდან,  
როდესაც სალდათებს სცემდნენ ზუმბითა, ხო-  
მალდის მოსამსახურეთ გაფისულის თოკებითა,  
ყმაწვილებს წკებლითა, მოსამსახურეებს ჯო-  
ხითა და წიხლითა და დედაკაცებს მათრახითა.  
სენ-სიმონი (მე XVII საუკ.) სწერს თავის  
მოთხრობებში, რომ ბრძენი მონტაზიე, დი-  
დის მქადაგებელის ბოსსუესი თანდასწრებით,  
იქამდინ სცემდა ლუდოვკოს მე XIV შვილსა,  
რომ საწყალს ყმაწვილს ხელის თითები დაუ-  
სივდებოდა და დაულოურჯდებოდა ხოლმე, ისე  
რომ აღარა ჰქონდა ძალა კალმის დამაგრე-  
ბისა!...

„დრო არის, თუ არა დაუტევოთ ეს საძა-  
გელი და საზიზარო ჩვეულება? ცემით დასჯა  
იმას უფრო ამცრობს და დამდაბლებს, ვინცა  
ხმარობს, ვიდრე იმას ვიხედავ ხმარობენ.  
მხლა ის დრო აღარ არის; ესლა ჩვენ სხვა  
ჰაერითა ვსუნთქავთ, სხვა ნაირათ ვცხოვრებთ  
და აღარ გვინდა შიშველ დამყარებული მძარ-  
თველობა არც ყმაწვილებისა და არც დიდრო-  
ნებისა! ამაზედ შეუძლიანთ მიპასუხონ მე,  
რომ ბევრნი იმგვარი ხასიათისანი და ნაკლე-  
ლივანებით საესენი არიან, რომ იმათ სიტ-  
ყვით ვერას ჩაგონებ, თუ არ ისეე შიშით და  
ამის დასამტკიცებლათ იქნება მოგვაგონონ  
ის შემთხვევა, როდესაც ლევანტის კუნძუ-  
ლზე მოსაქცევით დატუსაღებული ყმაწვილები  
გარდასწვს თავიანთ ამხანაგებმა. მაგრამ ამ  
საზარელი შემთხვევის წინააღმდეგი მაგალი-  
თის მოყვანა არ არის ძნელი. მაშინ როდე-  
საც ამ ყმაწვილებმა თავის საშინელის უწყე-  
ლობებით შეაშინეს ჩვენი საუკუნე, სხვა ამა-  
თმა ტოლებმა ყმაწვილებმა, აგრეთვე მოსაქ-  
ცევით დატუსაღებულებმა განაკვირვეს ჩვე-  
ნივე საუკუნე თავის კეთილ-მოქმედებითა და  
სიცოცხლისაც არ დაზოგვიდა კეთილ-სა-  
ქმისათვის. ტურენში (ზრანციის მახრას),  
ტურის რამდენიმე ვერსის მოშორებით გაშე-  
ნებულია ერთი კოლონია (მეტრის კოლო-  
ნია ჰქვია), რომელშიაც შეკრებილნი და და-  
ტუსაღებულნი არიან ყმაწვილები, სხვა—და—  
სხვა უკანონოთ მოქმედებისათვის, მოსაქცე-  
ვათა. აი რა მაგალითი გვიჩვენებს ამ კოლო-  
ნიებმა:

„მართლ ისეთი დიდწყობა იყო, რომ  
წყალი აპირებდა საგუბრის მოშლასა. მარე-  
შემო სოფლის მცხოვრებნი შიშისაგან გაი-  
ფანტნენ; საგუბართან დარჩნენ მხოლოდ საინ-  
ჟინერო შტაბის აფიცარი და რამდენიმე მუშა.  
მს საგუბარი რომ მოეშალა წყალს, მრთელ  
გარეშემო სოფლებს უსათუოთ დაღუპავდა;  
თითონ ქალაქს ტურსაც დიდი შიში ჰქონდა.  
როგორა გგონიათ, ვინ გადაარჩინა იმოდენა  
ხალხი უსათუო დაღუპვისაგან? მეტრის  
კოლონიის მცხოვრებმა—ყმაწვილებმა. ღამე  
იყო და საშინელი ქარი და წვიმა, ისე რომ  
თითქო კოკებიდგან ასხამენო წყალსა. მს ყმა-  
წვილები ამ ბნელს ღამეში, მაშხალებით ხე-  
ლში, სრულ თორმეტ საათს განსაკვიფრათ  
მუშაობდნენ და თავის სიცოცხლეს არათ აგ-  
დებდნენ, მხოლოდ კი როგორმე გადაარჩი-  
ნონ მთელი საზოგადოება საშინელის უბე-

დურებისაგან და, როგორც ესთქვი, კიდევ  
გადაარჩინეს!..

„მალაქი ტური, სხვებთან ერთათ, აღისო  
გამოუთქმელის მადლობით ყმაწვილების მო-  
ქმედებაზედ და მოაქრეინა ოქროს მედალი,  
რომელზედაც იყო გამოხატული: „მეტრის  
კოლონიელებს უფმადრიელებს ქალაქი ტუ-  
რისგან“.

„არ გვეგონათ, რომ ამ გვარი მზათ ყოფნა  
სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვისა საზოგა-  
დოების კეთილდღეობისათვის იყო შემთხვე-  
ვითი; არა, ეს მეტრის კოლონიელთ გარდა-  
ქცეული აქვსთ ჩვეულებათა: გარეშემო სოფ-  
ლებში სადაც უნდა გაჩნდეს ციცილი, პირვე-  
ლათ ეს ყმაწვილები დაიბადებიან იქა. რა გგო-  
ნიათ, რა ღონის-ძიებით გარდაქციეს ქურდნი  
და სამაგლნი ყმაწვილები მამაც და კეთილ-  
ყმაწვილებათა? იქნება გვეგონათ რომ ცე-  
მითა? არა. იმათ აცნობეს შრომის მოყვარე-  
ობა და მნიშვნელობა კაცისათვის თავის და  
სხვის პატივის დაცვისა და შეურყვევლობისა!  
იმ კოლონიაში სამი ათას ყმაწვილამდის არის  
ხოლმე დატუსაღებული და ოცდა ათის წლის  
განმავლობაში ერთის ყმაწვილისათვისაც ხე-  
ლი არ დაუკარებიათ არც ერთხელ! იმათი  
დასჯა ის არის, რომ მართოთ ოთახში დაა-  
მწყვედვენ ხოლმე. მაგრამ ერთ გვართ კი-  
დევ დასჯიან ხოლმე იმათა: როდესაც ცეცხ-  
ლი გაჩნდება საღმე, ნებას არ მისცემენ, რომ  
წაივინდნენ გასაქრობათ! თუ კი დამწყვებელი  
ამ კოლონიისა სამი ათას ქურდს და უბინა-  
დრო, უზდელს და ქუჩებში ნათრევე ყმაწვი-  
ლებს, დედ-მამისაგან და ნათესავისაგან დატე-  
ვებულთ უფლის და სწრთენის უცემრათა,  
ნუ თუ ჩვენ ჩვენს საყვარელს შვილებს და  
საზოგადოთ ჯერეთ ყოფაქცევა შეურყვევლთ  
ყმაწვილებს ვერ მოუვლით ძალადობის და  
ცემის მოუხმარებლათა?! ჩემი გული აღიძვრის  
იმაზედ, ვინც გვასწავლის, რომ ყმაწვილების  
აღზრდაზედ ძალა და ცემა უნდა მოვიხმა-  
როთ... არა; თუ გინდათ, რომ ღირსნი ვიყუ-  
ნეთ კაცის აღზრდისა, ჩვენ უნდა სხეულს კი  
არა ვტანჯავდეთ სულის სწორეთ გზაზე და-  
ყენებისათვის; არა; ჩვენ უნდა ვმოქმედო-  
ბდეთ სულზედა, რათა იმას შეეძლოს იმფლო-  
ბელოს სხეულზედა. სული კაცისა კი არ უნ-  
და დავამცროთ და დავამდაბლოთ, არა, ყო-  
ველთვის უნდა ვცდილობდეთ იმის ამალე-  
ბას; თუ კაცის გაწვრთნა გვინდა ზნობითი,  
ზნობითივე ღონის ძიებას უნდა ვხმარობდეთ  
დასჯისათვის! არ უნდა დავივიწყოთ უპირ-  
ველესი მოპოება მე XIX საუკუნესი: „პატივ ვც  
ყოველ პირის სულსა, და ამითი ასწავლე  
იმას თავის პატივის ცემაცა!“—

მკითხველნო, ვგონებ, ლეგუეეს სიტყვებს  
მომატება აღარ უნდა, თუცა კი გვინდოდა  
მოყვანა ერთი ჩვენის თვალთ ნახული საზიზ-  
ლარის მაგალითისა იმაზედ, თუ ცემამ და  
შეურაცხყოფამ სადამდის მიიყვანა ერთი ცა-  
მეტის წლის ყმაწვილი... რომელიც ესლა  
სატუსაღოშია დაქერილი; მაგრამ ამაზედ, თუ  
რომელიმე შემთხვევები არ დავგიშლიან, შე-  
მდეგ მოვილაპარაკებთ.—

ხ. ხითაროვი.

**ლენინს პროცესი.**  
(დასასრული)

„ლენინს მამა და იმათი ადვოკატი ჰერვე-  
რესი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სასამარ-  
თლომ ტყუილ—უბრალოთ დასაჯა ლენიე.  
მორნივე დარწმუნებულნი იყვნენ აგრეთვე,  
რომ 21 ნოემბრის დაცემაც განგებ იყო მო-  
გონილი; ამით უნდოდათ გამოძიებლები  
მოეტყუებინათ, რომ იმათ არ მიეტანათ ეჭვი  
ნამდვილ დამნაშავეზედ ზეს სიკვდილში; ისიც  
კარგათ იცოდნენ, რომ ლენინის ცოლი, პი-  
რველათ სახლიდგან გამოგდებული, მერე იმი-  
ტომ ისეე შეირიგა ქმარმა, რომ ჯავრი ამო-

ყარა მტრისა და თავის საკუთარი ტყვეობის  
ლიც დაეფარა. ცნობების შეკრების დროს  
მამა მალ-მალ მიდიოდა თავის ადვოკატთან  
და გენერალ—პროკურორთან ბორდოში და  
სთხოვდა; რომ ცილის მწამებლები და ცრუ  
მოწმები დაეტუსაღებინათ, იმისი საჩუკარი ისე  
გამუდმებული და მოსაბეზრებელი იყო, რომ  
არაფერ იტყოდა ეს საყოველთაო დასაჯულთა  
საჩივარიოა. მაგრამ იმისი ყოველი შრომა  
უქმდებოდა ლიბურში, სადაც იმყოფებო-  
დნენ იმისთანა პირები, რომლებმაც დასაჯი-  
ნეს იმისი შვილი. იქ იმყოფებოდნენ გამო-  
მეტიებლები, რომლებმაც არ უნდოდათ გატე-  
ხილიყვენ თავიანთს შეცდობაში; იქვე იმყო-  
ვებოდა გარეშე განვლენა, რომელმაც მისცა  
საქმეს წარმართი მიმართულება. დასჯილმა  
ლენიმ დაპკრავა სრულებით იმედი გამართ-  
ლებისა და საკატორგო ბორკილიდან განთა-  
ვისუფლებისა, რომელსაც ექვსი წელიწადი  
ატარებდა. 1854 წ. იმან მოინდომა, რომ პი-  
რველისავე ტრანსპორტით გაეგზავნათ ბიონა-  
ში, საცა მძიმე დამნაშავეებს აგზავნიან; მამა-  
საც უნდოდა თან გაჰყოლოდა. მაგრამ ამავე  
წელს იმათ მიეცათ იმედი ჰშველისა; იმპერა-  
ტორის პროკურორი, გამოძიებელი და მოსა-  
მართლე ლიბურნიდგან სხვა ადგილებზე გადა-  
იყვანეს ახლამა პროკურორმა მიიღო ლე-  
ნიეს მამისა და ჰერვერესისაგან ლენინს სიმა-  
რთლის დამამტკიცებელი ცნობები; ის თით-  
ქმის დარწმუნდა ლენინს უბრალოებანზე; ამის  
გამო დიდის სიფრთხილით შეუდგა საქმეს,  
რომ ნამდვილ დამნაშავეებს და დანაშაულის  
დამფარველებს არაფერი გაეგოთ. ტურტასის  
პოლიციის კომისიარს მიანდო, რომ იმას სი-  
ფრთხილით და ჩუმათ გამოეცვლია ლენინს  
მამის შეკრებილი ცნობების სიმართლე. ხე-  
თი თვის განმავლობაში კომისიარი სულ აგ-  
როვებდა და სწერდა ახალს ცნობებს. შემ-  
დეგ თითონ პროკურორი შარილო წაიდა იქ,  
საცა დანაშაულობა მოხდა და თითონ დაი-  
წყო საქმის გამოძიება; თან წაიყვანა ქანდარ-  
მებოც, რომ ამათვის მიენდო აღმოჩენილი  
დამნაშავეები. მთხი დღე გამოძიებაში გაა-  
ტარა.

მართა პირველთაგანმა ნაკითხმა, მილონმა  
დამამტკიცა ლენინს მამის სხვაგან ყოფნა ლე-  
ნიოზე დაცემის დროს. „მოწმების კითხვის  
წინა დღეს მე უთხარი ლენიოს, სთქვა მილო-  
ნმა, რომ იმ დამეს ლენინს მამა სხვაგან ენა-  
ხე და იმან მიპასუხა: „მაშ მე ვიტყვი—მამა  
ვერ ვიცან, შვილი ვიცანი მეთქი“.

ბოტიემ სთქვა: „გამოძიების წინეთ მე  
ლენიოს უთხარი: ლენიე როგორ დაგეცე-  
მოდა შენ შარა გზაზე მეთქი, როდესაც მე  
იმავე საათს მამასთან ერთათ ვიყავით და შეი-  
ლიც მატერინოსთან სადილოთ იყო? ამაზე  
ლენიომ მიპასუხა, რომ ჩვენს ნათქვამზე არ  
უნდა გადავდგეთო, და ერთი ერთმანეთის  
წინააღმდეგი არ უნდა ვაჩვენოთო. მერე  
წაიღო მარჯვენა ხელი და დაიკრა გულზე,  
თითქო ფულს მიჩვენებდა და სთქვა: „აი  
რის გამო ვმოქმედობ მე ასე“.

ლენიე ორი დღე არაფერში ტყდებოდა;  
როცა მოწმები პირში წაუყენეს, მერე კი გა-  
ტყდა და სთქვა, რომ ლენანი მემუქრებოდა-  
თუ ლენინს არ დააბრალებ ზეს მოკვლას,  
მაშინ 16 ფრანკი რო გმართებს ახლავე წა-  
გართმევო; ეს რომ არ ექენი, მაშინ მითხრა:  
მაშ ასე თქვი შვილი და მამა შარა გზაზე  
დამეცნენ, მეთქი. მსე ექენ და ლენანმა ვალი  
მაპატიოა.

ლენანის ცოლის ჩვენების სიმტყუნე  
ცხადებოდა სხვის ჩვენებებით: ერთმა ლა-  
ნომ სთქვა, რომ მე ლენანის ცოლისაგან  
გავიგონე შემდეგი სიტყვები: „მს! მერთო  
ჩემო! საწყალს ყმაწვილს კაცს დასჯიან ზეს  
სიკვდილისათვის, მაგრამ ის კი მკვლეელი არ  
არის სრულებითაო“. მართა დედაცემა აჩე-  
ნა, რომ ლენანის ცოლმა მერი სარაზინის  
ცოლს უთხრა: „ლენიე კი არა, ჩემი ქმარი



დამნაშავე... მეორე დედაცმა სთქვა: „წე-  
პანის ცოლმა მიხრა, რომ ყველაფერი  
მარწმუნებდა, რომ თუ ერთის მორჩენა მინ-  
და, მეორე წყალში უნდა ჩამოვარდეთ“.

მითონ ცოლი წეპანისა, თუმცა პირვე-  
ლათ მაგრათ იყო, მაგრამ მერე სთქვა, რომ  
მარიგებდნენ ესეთი ჩვენებაები მიმცა სასა-  
მართლოში; მღვდელი ღელმა და მერი სა-  
რჩაზინი მარიგებდნენ. მმარსაც კი დავრი-  
გებინა, როგორც მერე გამოჩნდა, მაგრამ  
ამაში არ გატყდა.

ძოკეღმა აჩვენა, რომ მე ყური უგდევ  
ცოლქმრის წეპანების ჩხუბსა; ქმარმა უთ-  
ხრა: შე წუწკო, მაგასაც წენისავით უნდა  
უყო და მერე კატორგაში გაგზავნო? ამაზე  
ცოლმა ლანძღვით უპასუხა: „მერე ჩვენში  
ვინ უფრო დამნაშავეა იმაში, რომ წენი  
ახლა კატორგაშია“.

შრაპემა და იმის ცოლმა აჩვენეს,  
რომ 16 ნოემბერს დილით ენახეთ წეპანი,  
იმისი სიძე ბოქენი და შენო მოდიოდნენ  
ცარიელ პოვოსკებზე სენტ-მედორიდან. „მი-  
ნდა მეს ნახავო? ჰკითხა წეპანმა.—რატომ,  
ხომ ვერ შემქამსო, უპასუხა ბოქენმა. რასა-  
კვირეელია, სთქვა პირველმა, გარწმუნებ რომ  
ვერც კი გაინძრევა.“

მრმა სხვამ აჩვენა რომ 1854-ს ზამთარში  
ერთათ ვისხედით წეპანთან და, როცა წე-  
ნიეზე ლაპარაკი ჩამოვარდა უთხარითო: „ამ-  
ბობენ შენ მოგიკლავს მოხუციო?“—ჩემ ფე-  
ხებს, თუ ამბობენ, მანამ სარჩაზინი და იმი-  
სი შვილი ცოცხალია, მანამ არაფრისა მეში-  
ნიანო, სთქვა წეპანმა.—მს საქმე უფრო  
მალე გამოჩნდებოდა ნათლათ, მაგრამ ბევრი  
მოწმები დახორცილდნენ და ამიტომ ძნელი  
იყო ყველაფრის გამოძიება. წეპანის ნათ-  
ლულს, (გამოძიების დროს მკვდარი იყო)  
რომ გაეგო წენის დაჯა, ძალიან სწყენო-  
და თურმე და ეთქვა: „წენიმ კი არ მპოკლა  
ზე, წეპანმა და იმისმა სიძემ ბოქენმაო. წე-  
ნოს სტაცებდნენ და მოხუცი ზედ გადასწოლო-  
და; ამ დროს წეპანს კვერი დაერტყათაფში  
და ამ დავით მომკვდარიყო ბებერი“. მს  
ჩვენება მისცეს ნათლულის დედამ და ორმა  
ძმამ; ამას კიდევ დაუმატეს ისა, რომ ის კვე-  
რი, რომლითაც მოჰკლეს ზე, ჩენი ძმისა-  
გან გაეიგეთ, სეზაკის წეპანის სიმამრის ჩარ-  
დაში არის დამალულიო.

სეზაკის სახლი გაშინჯეს და იპოვეს ხუთი  
კვერი. მითონ თითოთ ყველა აჩვენეს წეპანს  
და ჰკითხავდნენ, რომლით მოკალიო. მთხი კვე-  
რის ჩვენებაზე უპასუხა: „ეგ ის არ არისო“. მგებუთე  
რომ დაინახა სახე შეეცვალა საქე-  
როთ მიაქცია პირი უკან და სთქვა: „მე კვე-  
რით არ მომიკლავს ის!“

ამ უეცრათ გატყდომის მერე ეჭვი აღარ  
იყო იმის დამნაშაობაზე. მერე თავს იმართ-  
ლებდა—ისე წამცდო, მაგრამ შემდეგ კი  
ყველაფერში გატყდა: „ნოემბრის 15-ს, სალა-  
მოს ათ საათზე წავედი მესთან; ბოჩები უ-  
რემში ჩაფუყე და უნდა წამოვსულიყავი;  
მოხუცი წამეჩხუბა და არ მანებებდა ღვინოს;  
მე ზელი ვკარი და მოხუცი წაიქცა. არ მე-  
გონა თუ ამითი ზე მოკვდებოდა; მე შინსა-  
კენ წამოვედი. ანთებული სანთელი კედ-  
ლზე ეყულა და მეგონა ზე ადგებოდა და  
აიღებდა. მეორე დღეს გაეიგე, რომ ზეც მო-  
მკვდარიყო და სახლიც დამწვარიყო“.

ამ გატყდომით გამოძიება გათავდა; ახალი  
დამნაშავეები დაატუსაღეს.—ამრიგათ დამტკი-  
ცდა წენის უმანკობა, მაგრამ საქმე მიიწე-  
ა ხალ სასამართლოს უნდა გავჩიო, რომ გა-  
ემართლებინა ის და პირველი სასამართლოს  
შეცდომასზედაც დარწმუნებულდყენენ.—  
25 აგვისტოს ბრესტში გაგზავნეს პარიჟი-  
დან ტელეგრაფმა და წენის ბორკილი გა-  
მოუყარეს; სისარულისაგან წენის გააცხელა.

ბოლოს 25 სექტემბერს მოიყვანეს წებურ-  
ში. 12 მარტს 1855-ში ცოლქმარი წეპა-  
ნები წარუდგინეს შირონდის ასსიზის სასამა-  
რტლოს.

ბასამტყუნებელ აქტში ყველაფერი იყო მო-  
ხსენებული, როგორც ზეს მოკვლა, წენის  
კატორგაში გაგზავნა, აგრეთვე ახალი გამო-  
ძიებაც. პროკურორმა სთქვა სარჩაზინის მო-  
ქმედებაში ბევრი გაუგებარი რამ არისო, მა-  
გრამ სჩანს, რომ იმას არაფერი მონაწილეო-  
ბა არ მიუღია თითონ მოკვლაში.—მერე ყვე-  
ლა გარემოება გამოიკვლია და ამტკიცებდა,  
რომ ზეს მოკვლა ხიფათით კი არა მოაზრე-  
ბული ყოფილაო.—

წეპანებმა ცოლმა და ქმარმა ჯერ უარი  
თქვეს წინანდელ ჩვენებაზე, მაგრამ მერე  
პირველმა თქვა: „მე მიხრეს, რომ შენი ქმა-  
რი ცხენში გატყდაო და ასე მეგონა მართლა  
დამნაშავეა და მეც იმიტომ ვსთქვი იმისი და-  
მნაშაობაო. მმარმა კიდევ სთქვა, რომ მარ-  
თალია ვსთქვი ეგენი, მაგრამ პოლიციის კო-  
მისიარმა ძალათ მათქმევინაო.“

პოლიცმა, მომრიგებელმა მოსამართლემ  
სთქვა, რომ 1847 წ. წეპანის ცოლის ჩვენება-  
ებმა შეცდომაში შემოიყვანაო. მთმცა თითონ  
წეპანი ფიცხი ხსიათისა და სასტიკი კაცია,  
მაგრამ არა მგონია, რომ მოაზრებით მოკვლა  
ვისიმე გაბედოსო. მარდაცვლილი მღვდელი  
არ იყო კარგი სახელისა და წენიეზე იმის  
დის გამო ჯავრი ჰქონდაო.

პოლიციის კომისიარმა სთქვა, რომ მე არა-  
ფერი ძალა არა მომიხმარებია წეპანზე და  
უკანასკნელი გატყდა ზრდილობიანათ დარი-  
გების შემდეგაო.

სხვა მოწმებმა გაიმეორეს თავიანთი უწინ-  
დელი ჩვენება და დაუმატეს ზოგიერთი ან-  
ბები მერი სარჩაზინის მონაწილეობის მიღე-  
ბაზე წენის გამტყუნებაში: გამოძიების  
დროს იმას ეთქვა ერთის მოწმისათვის: „სჯობს,  
რომ ისევე წენიე დარჩეს დამნაშავეთ, რო-  
მელსაც ვერ ვიცნობთ, ვიდრე წეპანი, ცოლ-  
შვილის პატრონი“. საქმიდან ცხადათ სჩნდა,  
რომ სარჩაზინს კარგათ სცოდნოდა 16 ნო-  
ემბერში ღვინის წაღება, მაგრამ არ ეთქვა.  
წეპანის ცოლიც გატყდა პრეზიდენტის შე-  
გონების შემდეგ და სთქვა, რომ ჩემი ქმარი  
მეორე გამოძიების დროსვე გამიტყდა, რომ  
მე ვარ დამნაშავე მეს სიკვდილშიო, მაგრამ  
ხიფათით მომივიდა, არ მეგონა, თუ მოკვდე-  
ბოდაო.

წეპანი კი ვერ გასტყხეს ვერც პრეზიდენ-  
ტის რჩევით, ვერც ცოლის ხეყნით, ვერც  
მომრიგებელი მოსამართლისა და ვერც თა-  
ვისი ადვოკატის რჩევით.

მერე სხდომის ოთხი დღის შემდეგ, დაიწ-  
ყეს ბასი, შერყერესი ლაპარაკობდა მოხუცი  
წენის მხრიდან და თხოულობდა, რომ იმისი  
შვილი გაემართლებინა სასამართლოს, დაე-  
კმაყოფილებინათ გაუპატურებისათვის, უდა-  
ნაშუალოთ დასჯისთვის და ზიანიც ეზღვევი-  
ნებინათ.

შერყერესის მერე დაიწყო სიტყვა გენე-  
რალ-პროკურორმა, მაგრამ დაწყების უმალ-  
ვე უქეიფოთ გახდა და მეორე დღესაც ვერ  
გათავა, აეთმყოფობის გამო, ამიტომ ის შე-  
სტეალა იმ გენერალ-ადვოკატმა, რო-  
მელიც 1848 წ. იყო წენის გამამტყუნებ-  
ლათ.

წეპანი-ქმრის ადვოკატმა დაიწყო ამ სიტ-  
ყებით, „წენიე უმანკოა; ვისაც გუ-  
შინ ასე ეგონათ, დღეს დარწმუნდება ამაზე;  
წეპანმა დასწერა თავისი აღიარება. მე ვრაც  
ჩემს თავს მოვალეთ ეთქვა ეს ამბავი, რა-  
განაც ეგ არის საქირო, როგორც წენის  
გამართლებისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ  
გიჩვენოთ, რომ ნამდვილი დამნაშავე არის  
სინანულში“. ამის შემდეგ, ის მოჰყვა საქმის  
გარემოებას; წეპანი წასულიყო მესთან 45

ფრანკი ვალის მისაღებლათ; ავლო სანთელი  
და სამი ბოჩა ღვინო დაედო თვის ურემზე  
და უნდა წამოსულიყო; მოხუცს მოეთხოვე-  
ნა ნახევარი ბოჩის ფასი, რადგანაც მე აღა-  
რავფერი არა მჩხებო; წეპანს ეს სწყენოდა,  
ეკრა ხელი მესთვის, რომელიც დაცემულ-  
იყო მტრელ იარაღზე; მერე წეპანს აყენე-  
ბინა, დაესვა სკამზე, მაგრამ რადგანაც ხარე-  
ბი გაქცეულიყვნენ, გამოსდგომოდა იმათ  
უკან და აღარ დაბრუნებულყო; ცეცხლიც  
უთოოთ იმისგან დავიწყებული სანთლისაგან  
მოჰკიდებია სახლსა“.

ამაზე პროკურორმა სთქვა, რომ დამნაშა-  
ვეს გატყნა წმინდის გულით არ არისო და  
ანგარიშით შერებო, შემთხვევით კი არა,  
მოაზრებით მოუკლავს ზეო, რომელსაც ამ-  
ტკიცებს იმისი ცოლისა და წენიოს სიტყვე-  
ბი, რომ წენიეზე დაედოთ ბრალიო.

შედგინეს გადასაწყვეტი მუხლები (ე. ი.  
ამა და ამ დამნაშაულში ბრალი აქვს ამა-და-  
ამას, თუ არა); ნაფიცნი წავიდნენ სარჩევათ  
და გადასწყვეტეს, რომ წეპანი არის დამნა-  
შავე ზეს მოაზრებლათ დაქრამი, რომელს-  
საც მოჰყვა სიკვდილი და—წენიოს დაქრთამ-  
ვაში; მარიამ წეპანი და წენიო—ტყუილათ  
მოწმობაში; მაგრამ სამივეს დამნაშაულის შე-  
სამსუბუქებელი გარემოებებიცა აქეთ.—

სასამართლომ გადაუჭრა ყველას ოც-ოცი  
წელიწადი კატორგაში მუშაობა.—

სხვა და სხვა ამბავი

მარშაის კორრესპონდენტი გაზ. „Голос“-  
ისა იწერება, რომ იქაური უნივერსიტეტის  
გახსნას აპირებენ ამ სექტემბრის შუაში, ან  
დამლევისათვის.

„რიგის მოამბეში“ სწერენ, რომ შრანცი-  
აში პროფესორს მუშოს გამოუგონია ისეთი  
ორთქლის მაშინა, რომელიც მოდის  
მოძრაობაში მზის სხივების სითბოთი და არა  
ნახშირის, ან შეშის შემწვობით; მაშინა იმ-  
დონათ ათბობს წყალს, რომ იმას ორთქლი  
ასდის ხოლმე; იმის შემწვობით პროფ. მუშო  
აქცობს პურს, კვერცხებს და კარტოფილს  
ხარშავს და ზოგიერთ საქმელმესაც ამზა-  
დებს.—რალა ლაპარაკი უნდა, რომ, თუ ეს  
აზრი მოიყვანეს სისრულეში და თუ მაშინა  
იმოდენათ გააუზოგბესეს, რომ კაცს შეშის მა-  
გიერათ შეეძლოს მზის სითბოთ სარგებლობა,  
ამას ძალიან დიდი გავლენა ექნება კაცობრი-  
ობის კეთილდღეობაზე. საცა უფრო ცხელა  
იქ, რასაკვირველია, უფრო მალე მიადწევენ  
მიზანს, რადგან იქ მზის სხივებს უფრო მო-  
მატებული სითბო აქეთ.—

ქ ა ი შ ი.

(შეღწეოთ თ. ბ. შ.)

ადგე, ბიჭო, დაპა ტაში,  
თავს ვაძლე მე დაიწუქებას,  
შენ თავი რათ ჩაგიღუნავს,  
სთქვი, რაც გაქვს გუნებაში?  
აგერ სდას წითელი ღვინო,  
აგერ ზის ლამაზი ნინო.  
დაპა ტაში, შემოხედე,  
აბა როგორ მოვიღბინო!  
ლამაზს გოგოს,  
წითელ ღვინოს  
საცმა როგორ  
არ დამღეროს!  
იარი, იარი,  
თარი არი!  
ადგე, ადგე,  
დაუკარი!  
მეც მასს აეს, ვმწვილობაში  
მიყავ კარგი ტოლუმბაში;

წენოს ცხამდი მოწუთულად,  
მიყვარა გოგოს თამაში.  
ახლაც, როს მოვალ გრძობაში  
და როს ვარ ტოლ-ამანაგში,  
სხვაში არ ვარგავ თორემა,  
მარგავ ბახუსის ყმობაში.  
და ამ გოგოს,  
წითელ ღვინოს  
საცმა როგორ  
არ დამღეროს!  
იარი, იარი,  
თარი არი!  
ადგე, ადგე,  
დაუკარი!

რას მოგწყენია, ნინუცა,  
რისთვისა ხარ უგრძობარი?  
მნება ხომ არსით მოგვეცა,  
ან ვინა გაყავ შენ უბარი?  
მე, თუ მხედავ, ხომ ჯელი ვარ  
და ქეიფის მგობარი,  
მოყვარესთან მოყვარე ვარ  
და მტერისა მოჩხუბარი.  
და ამ გოგოს,  
წითელ ღვინოს  
საცმა როგორ  
არ დამღეროს!  
იარი, იარი,  
თარი იარი!  
ადგე, ბიჭო,  
დაუკარი!

რა ექნა, რალა გაწყობა,  
მს სოფელი ასე არი:  
მაშინ ყველა მაიწყუნებდა,  
მთუ ჯამფასით გადაეკარი!  
ძმაო, შენ რათ დაჩაგრულხარ,  
რისთვისა ხარ თითქოს მკვდარი?  
ადგე, გირჩე, თარი დაპკარ;  
ასლა ფიქრის დრო არ არი!  
მაშ ამ გოგოს,  
წითელ ღვინოს  
საცმა როგორ  
არ დამღეროს!  
იარი, იარი,  
თარი არი!  
ადგე, ბიჭო,  
დაუკარი!

მთუნ რომ იყო მეფე შენა,  
მერწმუნე, რომ ვერას ვარგებს;  
მთელი ქვეყნისა ქონება  
მითს წამსაც ვერ მოგიმატებს.  
როს მოკვდები, ჩემო ძმაო,  
იქნება შენი სახმარი  
მიოლოდ ცხრა ალაბი ტილო.  
და ოთხი მუხის ფიცარი!  
მაშ ამ გოგოს,  
წითელ ღვინოს  
საცმა როგორ  
არ დამღეროს!  
იარი, იარი  
თარი არი,  
ადგე, ძმაო,  
დაუკარი!..

დ. შალაღვლი.

1869 წ.  
შეთაის.

საპაპროს ცნობები.

1 ოქტომბერს იქნება ქ. მსურეთში ვაჭრობა  
ხორცის მიზიდვაზე 1870 წ. მე 20 აკვასიის ბატა-  
ლიონისთვის; ვაჭრობაში გარევის მსურველს უნდა ჰქო-  
ნდეს სარწმუნო გირაო და უნდა მიმართოს მსურვე-  
თის ჯარის ნაწილის კანცელარიაში.

მომრიგებელი მოსამართლე შეთაისის გუბერნიის  
მსურვეთის განყოფილებისა მოიწვევს მემკვიდრებს  
ზუგდიდის უფრეს მცხოვრებელი ძრისტისა გეგავასას,  
რომელიც გარდაიცვალა 1868 ოქტომბერს, სოფელს  
ჩოხნაში მსურვეთის უფრესი, რათა იმათ განაცხა-  
დონ რომელსამე სასამართლოში თავიანთი უფლება იმის  
შემდეგ დარჩენილს მოძრავსა და უძრავს ქონებაზე იმ  
ვადით, რომელიც ამისთვის არის აღნიშნული 1241  
მუხლში სამოქალაქო წესდებულების მეათე ტომში.  
(მადა ექვსი თვეა გამოცხადების შემდეგ).